<u>შუალედური (1) წერის/გამოცდის საკითხები საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში</u>

<u>2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი</u>

საგნის ხელმძღვანელი: პროფ. მაია კოპალეიშვილი

გამოყოფილი დრო: 2 სთ

საკითხები მოვა ვარიანტების მიხედვით. შესაძლებელია რამდენიმე საკითხი გაერთიანდეს. სტუდენტი ვალდებულია სამი საკითხიდან საკუთარი არჩევანით

დაწეროს რომელიმე ორი საკითხი. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება დაწერილი საკითხის სირთულე და რამდენად სრულად პასუხობს ტექსტი საკითხს.

საკითხები შეფასდება 10-10 ქულის ფარგლებში.

შენიშვნა: სტუდეტს ევალება საკითხები მოამზადოს როგორც სახელმძღვანელოდან ასევე კოდექსიდან.

1. საჯარო მმართველობა. საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივი ფორმები. ადმინისტრაციული სამართალი. ადმინისტრაციული სამართლის სისტემა, წყაროები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო (სახელმძღვანელო+სზაკ-ის მე-3 მუხლი). მიზანი. საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნა (შესაბამისი თეორიები).

2. ადმინისტრაციული ორგანოს ცნება (ცნების ლეგალური დეფინიცია).

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები: კანონის წინაშე თანასწორობა, უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, საქვეყნოობა და საიდუმლოება, კეთილსინდისიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება.

4. საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპი. დისკრეციული უფლებამოსილება. ცნება, არსი, საფუძვლები, დანიშნულება, შეცდომა და მისი სამართლებრივი შედეგები.

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი პირველი.

6. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება (სამართლებრივი დახმარება), პირობა და ფარგლები. უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე (სზაკ, მე-2 თავი).

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ, IV თავი).

8. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, სახეები.

9. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა, სახეები.

10. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა. ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

11. უკანონო და არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

12. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით. ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების გამიჯვნა ადრესატზე მათი სამართლებრივი შედეგების მიხედვით და მათი სამართლებრივი ბუნება.

13. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. აღმჭურველი და ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.

14. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. აღმჭურველი და ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

15. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ბუნება და ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

16. მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია.

17. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, ადმინისტრაციული წარმოება, ფორმალური და მატერიალური კანონიერება.